

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მომზადებით, რამაც დღის წესრიგში დააყენა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმების ამოღება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან და მათი თავმოყრა შესაბამის სპეციალურ საკანონმდებლო აქტში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან შესაბამისი სფეროს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ნორმების თავმოყრა სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

პროექტით ხორციელდება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებული სპეციალური ნორმების თავმოყრა შესაბამის საკანონმდებლო აქტში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საქართველოს ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) წარმომადგენლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორები არიან პარლამენტის წევრები: პაველე კუბლაშვილი, ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ანდრო აღავეიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: პაველე კუბლაშვილი, ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ანდრო აღავეიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი.